ტყავი თოვლის კრისლი ფონდი

287 1 29

287 1 29

დასკანირ.
14. 01. 25

21

5ფ.

„მნათობი", 1950, №6,

ბიბლიოგრაფია

★

კონსტანტინე ლორთქიფანიძე „მწვანე ღილი". სახელგამი 1950 წ.

ომისშემდგომი პერიოდის ქართულ საბჭოთა ლიტერატურას ბევრი ღირსშესანიშნავი ნაწარმოები შეემატა. მათ შორის განსაკუთრებულ ყურადღებასა და ინტერესს იმსახურებს კონსტანტინე ლორთქიფანიძის ახალი მოთხრობა „მწვანე ღილი", რომელიც მიმდინარე წელს ცალკე წიგნად გამოსცა სახელგამმა. მოთხრობა ასახავს საბჭოთა ხალხის დიდი სამამულო ომის ერთ-ერთ მნიშვნელოვან ეპიზოდს — საბჭოთა არმიის შემტევი ნაწილების ბრძოლას ტამანისა და ყირიმის ნახევარკუნძულებზე.

ის გრანდიოზული მასშტაბი, რომლითაც ხასიათდებოდა საბჭოთა ხალხის დევგმირული ბრძოლა გერმანელი ფაშისტი დამპყრობლების წინააღმდეგ, სულის ის მხნეობა და ვაჟკაცური აღტყინება, სიმამაცისა და გულადობის ის მარად უჭკნობი მაგალითები, რომლებიც გამოიჩინეს საბჭოთა ადამიანებმა ამ ომში, იყო და რჩება დაუშრეტელ და წარმტაც წყაროდ, მნიშვნელოვან და წამყვან თემად საბჭოთა ლიტერატურის იდეური განვითარებისათვის, ჩვენი მოწინავე საბჭოთა ახალგაზრდობისა და საბჭოთა ხალხის იდეური აღზრდისათვის.

ამიტომ ახალი თვალითა და თავისებური მხატვრულ ასპექტში დანახული ომის ყოველი ეპიზოდი, ამ ეპიზოდების სწორად ამსახველი ყოველი ახალი მხატვრული ნაწარმოები უდიდეს სულიერ კმაყოფილებას იწვევს საბჭოთა მკითხველში, აერთებს მის ბედნიერ დღევანდელობას გუშინდელ მწვავე ტკივილებთან, ომის ჯერ კიდევ მოუშუშებელ იარებთან, ამძაფრებს მის მშვიდობიან შრომას ჩვენი სამშობლოს ძლიერების განსამტკიცებლად და მრისხანე შეურიგებლობის გრძნობით აღანთებს მას ახალი ომის გამჩაღებელთა ვერაგული გეგმების წინააღმდეგ.

ასე ითქმის კერძოდ კონსტანტინე ლორთქიფანიძის ამ ახალ მოთხრობაზე. ამ აზრის კონკრეტულ გამოსახულებას წარმოადგენს მწერლის მიერ ორიგინალურად მოფიქრებული სუჟეტი და მისი კომპოზიციური მთლიანობის თავისებური სიმკვრივე. მაინც რაშია ამ ნაწარმოების წარმატების საიდუმლოება? მხოლოდ თემაში? რასაკვირველია, არა. კარგი თემა და იდეა ხშირად მსხვერპლად ეწირება მწერლის მიერ დაუმუშავებელ, დაუძლეველ, გაუმართავ მხატვრულ სახეებს, რის შედეგად კარგი და აქტუალური თემა ზოგჯერ კარგავს ხოლმე მკითხველზე ემოციურ ზემოქმედებასა და მნიშვნელობას.

„მწვანე ღილში" კონსტანტინე ლორთქიფანიძე ჩვენი ცხოვრების აქტუალური თემისა და თემაში ჩაქსოვილი დიდი იდეის გამოსახატავად პათეტიკურ მსჯელობებს როდი მიმართავს, როდი გვაბეზრებს თავს ათასჯერ მოსმენილი, წაკითხული თუ გაგონილი ამბებით ომის შესახებ, არამედ საბჭოთა არმიის ერთი რიგითი მებრძოლის, რიგითი ჯარისკაცის ფრონტული ცხოვრების აღწერის ფონზე გვიჩვენებს მის ცოცხლად გამოკვეთილ, კონკრეტულ, დამაჯერებელ სახეს, მის ხასიათს, ბუნებას, მოქმედებას, მის განცდებსა და გრძნობებს და, ამის საფუძველზე, ნაწარმოების ამ კონკრეტული გმირის ტიპიზაციის, ფაქიზად შერჩეული მხატვრული, დახვეწილი ენის, ლაკონურ, სხარტ ფორმებში გაშლის გზით მკითხველთა შეგნებამდე მიაქვს ნაწარმოებში აღბეჭდილი წინასწარ დასახული აზრი და მიზანდასახულობა.

ნაწარმოებში, უწინარეს ყოვლისა, გვხიბლავს ლადო ვაშალომიძის კონკრეტული და ამავე დროს უაღრესად საინტერესო ტიპიური სახე, რომელსაც ავტორი დიდი მხატვრული ოსტატობით აქანდაკებს. ჩვენ გვხიბლავს მისი პორტრეტული, გარეგნული ელფერი და შინაგანი, სულიერი სილამაზე, მისი მორალური სიწმინდე და ვაჟკაცური შემართება, მისი გულუბრყვილო, უცოდველი, კეთილშობილური თვალები ფრონტზე მისვლის წინ და მტრის მიერ აოხრებული სამშობლო მიწის ტკივილების ღრმად შეგრძნების შემდეგ მისი შურისძიებით ანთებული, განრისხებული, გაცეცხლებული გული; და მის ყოველ მოქმედებაში, ხასიათის, ქცევის, აზრების ყოველ გა-

მოვლინებაში, მის სპეტაკ სიყვარულში უტაშელი კომკავშირელი ქალიშვილის სვეტლანა ვერშინინასადმი, მის თავგანწირულ, საბედისწერო ბრძოლაში უსახელო მაღლობზე და ამ მაღლობზე მის გმირულ სიკვდილში ჩვენ ვხედავთ საბჭოთა ახალგაზრდობის, საბჭოთა ადამიანების მაღალ მორალურ—პატრიოტულ ბუნებას, საბჭოთა ხალხისა და საბჭოთა სამშობლოს უძლეველობის ნამდვილ და სრულყოფილ, მკაფიო და დამაჯერებელ განსახიერებას. ეს არის ნაწარმოების მთავარი მხატვრული ღირსება. ამაში მეღავნდება ნაწარმოების იდეური სიმახვილე და თემატიური აქტუალობა.

რა კონკრეტული თვისებებით ხასიათდება ვაშალომიძე? რა არის ამ თვისებებიდან ტიპიური? რით მიაღწია მწერალმა ნაწარმოების ძირითადი იდეის გამხსნელი ამ მთავარი გმირის ასე ცოცხლად დახატვას?

სწორედ აქ მეღავნდება მწერლის მხატვრული ინდივიდუალობა და შემოქმედებითი ნიჭი, მისი უნარი შეკრას ფაბულარული ამბავი მძაფრ და მოქნილ სუჟეტურ რკალში, მოაქციოს მხატვრული კომპონენტები ნაწარმოების კომპოზიციის მტკიცე ყალიბში და ამით გამართლება, მოტივირება მისცეს ყოველ მოქმედებასა და მოვლენას, დააკავშიროს ისინი ერთმანეთს განვითარების კანონზომიერების ჯაჭვით. ეს ის აუცილებელი მოთხოვნაა, რომლის გარეშე მუდამ იჩენს თავს შეუსაბამობა ნაწარმოების შინაარსსა და ფორმას შორის, ე. ი. მუდამ იჩენს თავს ნაწარმოების სიღარიბე, სიმშრალე, სიტლანქე.

კონსტანტინე ლორთქიფანიძემ ვაშალომიძის ხასიათისა და მისი მოქმედების ბუნებრიობის ნათელსაყოფად შესძლო გამოენახა შესაფერისი ფონი, შეექმნა მის გარშემო სრულიად კანონზომიერი და ომის ვითარებისათვის სავსებით დამახასიათებელი სიტუაცია. ასეთია კაპიტან გელოვანის მზვერავთა ქვეგანაყოფის საბრძოლო ეპიზოდები, ერთის მხრივ, რომლის მთავარი მონაწილე თვით ვაშალომიძეა და სვეტლანა ვერშინინასთან მისი ურთიერთობის მოკლე, მაგრამ ამაღელვებელი ისტორია, მეორე მხრივ.

ახოვანი და შავთვალწარბა ახალგაზრდა ლადო ვაშალომიძე პირველ საბრძოლო „ნათლობას“ ყუბანის ერთ-ერთ დასახლებულ პუნქტში — კურჩანკაში ღებულობს. ეს იყო სამამულო ომის ის ეტაპი, როცა გენერალისიმუს სტალინის მთავარსარდლობით საბჭოთა არმიის გრანდიოზული შეტევის გეგმა წარმატებით ხორციელდებოდა, როცა ჩვენი არმიის ნაწილები ლეგენდარული ბრძოლებით გმირულად ერეკებოდნენ კაცობრიობის უბოროტეს და უსაზიზღრეს მტრებს ყოველ გამაგრებულ პოზიციებიდან, ხელიდან აცლიდნენ მათ დაკავებულ ტერიტორიებს და დღითიდღე ათავისუფლებდნენ საბჭოთა მიწაწყალს. ამ ისტორიულ ბრძოლაში საბჭოთა კავშირის ყველა ეროვნებასთან ერთად მხარდამხარ მონაწილეობდა ქართველი ხალხი. მისი საუკეთესო შვილების სისხლითაა მორწყული ომის ვრცელი და უზარმაზარი გზა კავკასიის მთაგრეხილებიდან ელბის ნაპირამდე.

კონსტანტინე ლორთქიფანიძის მოთხრობის საექსპოზიციო ნაწილში (1 — 5 თავი), რომელშიც მწერალი ნიადაგს ამზადებს მძაფრი სუჟეტური მოქმედების გასაშლელად და მთავარი გმირის ხასიათის რელიეფურად დახატვისათვის, განსაკუთრებული სიმკვეთრით არის ხაზგასმული სწორედ ეს მომენტი. აი, ყუბანის ყორღანებისაკენ გაჭრილი ქართველი შემტევი ნაწილების შესავსებად კურჩანკაში ახალმოსული მებრძოლები ველზე ისვენებენ. აქ არის ლადოც თავისი მომღიმარე, კეთილშობილური თვალებითა და უწყინარი, სანდომიანი ვაჟკაცის სახით, ენაწყლიანობს, ხუნჯობს, თავის მშობლიურ იმერეთსა და ფრონტზე წასულ მამას იგონებს, ლაღობს, ერთობა და უცებ... თითქოს შეირყა, გადატრიალდა დედამიწა, საშინელმა გრგვინვამ მოიცვა მიდამო. ელვისებურად გადაუქროლეს მტრის თვითმფრინავებმა კურჩანკას, დაბომბეს და მიიმალნენ. „სკოლის ახლო-მახლო, სადაც მთავარ მეხისტეხას გადაევლო, ჩვენმა მაშველმა ჯგუფმა მხოლოდ ერთგან იპოვნა თხრილში დამარხული ჯარისკაცები. ორი მძიმედ იყო დაჭრილი, მესამეს ენა წართმეოდა, ყურისგან სისხლი სდიოდა და წამდაუწუმ ასლოკინებდა“. ასე გვაცნობს ავტორი ომის საზარელ სურათს. ეს იყო ვაშალომიძის პირველი პირდაპირი შეხვედრა ომთან; მის მუდამ შუქნათელ ღიმილში ახლა უკვე ტანჯვის ნაკვალევი ჩადგა. აენთო, აბორგდა ვაჟკაცის ამაყი სული, უწყინარ და კეთილშობილ გულში მრისხანებისა და შურისძიების გრძნობამ იფეთქა. ამ პატარა შტრიხით კ. ლორთქიფანიძე მოხერხებულად გვიჩვენებს საბჭოთა ჯარისკაცისათვის დამახასიათებელ ძვირფას თვისებებს. იგი მომთმენია და ჰუმანიური გარკვეულ დრომდე, მაგრამ, როცა კეთილშობილება არ სჭრის—გრიგალურ რისხვად დაატყდება მტერს. ასე დაიწყო ვაშალომიძის ახალი, ფრონტული ცხოვრების სახელოვანი საბრძოლო გზა. იგი ხდება გმირი მზვერავი, რომელიც მუდამ ბეწვის სიდზე დადის, მაგრამ გასაოცრად თან სდევს ხოლმე უცნაური, ძლიერი, შეუვალი, ყოველ

წვრილმანში გამხელილი რწმენა, რომ სიკვდილი შორს არის მისგან. ვაშალომიძე მორალურად ამარცხებს სიკვდილს. ეს არის ყოველი საბჭოთა ადამიანის ნიშანდობლივი თვისება. იგი სსრ კავშირის მთავრობის მაღალ ჯილდოებს იმსახურებს მტერთან ბრძოლაში ჩადენილ საგმირო საქმეებისათვის და საკუთარ თავზე კი მაინც არაფერს ლაპარაკობს, სდუმს, ენაძუნწობს. მისთვის უცხოა ქედმაღლობა და ამპარტავნობა. რა საჭიროა ლაპარაკი საკუთარ თავზე, დე, თვით საქმეებმა გამოაჩინონ იგი,— ასე ფიქრობს ვაშალომიძე. ამ უბრალოებასა და თავმდაბლობაში ნათლად გამოსჭვივის ის ძირითადი ტიპიური ნიშნები, რაც ასე დამახასიათებელია ყოველი მოწინავე საბჭოთა მოქალაქისათვის. მწერალმა ვაშალომიძის კონკრეტულ პიროვნებაში ჩვენი მოწინავე საბჭოთა ადამიანების ყველაზე ძვირფასი და დამახასიათებელი თვისებები ჩააქსოვა. ასე ამაღლდა ნაწარმოების რიგითი პერსონაჟი ზოგად ტიპიურ დონემდე.

მაგრამ ყველაფერი ეს ჯერ კიდევ არ არის საკმარისი სრულყოფილად წარმოვადგინოთ ვაშალომიძის ტიპიურობა. კ. ლორთქიფანიძე ოსტატურად იყენებს ერთი შეხედვით თითქოს უმნიშვნელო დეტალს გმირის ხასიათის მკვეთრად გამოსახატავად და მოქმედების დაძაბულობისათვის. ერთ დღეს ზემდეგმა ვაშალომიძის სამხედრო ხალათის მარცხენა გულჯიბეზე უფორმო, მწვანე, შავზოლებიანი ღილი შენიშნა. ეს წესრიგის დარღვევად ჩაუთვალა ზემდეგმა ვაშალომიძეს და მიუხედავად მისი ხვეწნა-მუდარისა ნება დაერთო ეტარებინა იგი, დანით ააჭრა და შორს ბალახებში გადააგდო. ეს სრულიად ჩვეულებრივი მოვლენაა არმიის ცხოვრებიდან. მაგრამ რად აინტერესებდა ვაშალომიძეს უფორმო შეუფერებელი ღილის დატოვება მარცხენა გულჯიბეზე? რად ლამობდა მის დამალვას ორდენის ქვეშ? რისთვის ეძებდა ასე გამწარებით გადაგდებულ ღილს ბალახებში?

აი სწორედ აქ არის მოთხრობის ორიგინალურად მოფიქრებული კვანძი. აქედან იხსნება დრამატიზმის, **გმირის ხასიათის შინაგანი** ევოლუციის დაფარული ხვეულები, მოქმედება მძაფრად მიიმართება კულმინაციურ წერტილისაკენ და ახალ მოქმედ პირთა ურთიერთ დაპირისპირებაში, ახალ გარემოცვაში კიდევ უფრო ნათლად და მკვეთრად ყალიბდება ვაშალომიძის მგზნებარე პატრიოტული ბუნება, მისი დევგმირული სულის სიდიადე და ახოვანება.

მწვანე ღილი უმწიკვლო და წრფელი სიყვარულის უხილავი ძაფებით აკავშირებდა ვაშალომიძეს უტაშელ რუს გოგონასთან სვეტლანა ვერშინინასთან, რომელმაც სიცოცხლე შეუნარჩუნა მას, როცა მძიმედ დაჭრილი უპატრონოდ დარჩა მტრის ზურგში. რა ამაღელვებელია მოთხრობის ეს ნაწილი! ღონემიხდილი, სასიკვდილოდ განწირული ვაშალომიძე უკანასკნელ ძალებს იკრებს, რათა ისედაც დასიცხული გასცილდეს ლელიანის გულისწამღებ ოხშივარს, მაგრამ ძალა ელევა, მიწაზე ეცემა... ასეთ ვითარებაში წააწყდნენ შემთხვევით სვეტლანა და მისი დედა ვაშალომიძეს. სოფელი გერმანელთა ხელში იყო; დაჭრილი ჯარისკაცის მოვლა-პატრონობა საკუთარი სიცოცხლის ხიფათში ჩაგდებას ნიშნავდა; მაგრამ დედა და შვილი როდი უშინდებიან ამ საფრთხეს. ისინი დიდ გულისხმიერებას იჩენენ დაჭრილი საბჭოთა მეომრისადმი, უვლიან, მკურნალობენ, მზრუნველობას უწევენ მას. სვეტლანასა და ვაშალომიძის ურთიერთობაში, სვეტლანას დედის დამოკიდებულებაში ქართველი მეომრისადმი შესანიშნავად არის გამოხატული საბჭოთა ხალხის მორალურ-პოლიტიკური ერთიანობის, საბჭოთა კავშირის ხალხთა სტალინური მეგობრობის, საბჭოთა ჰუმანიზმის იდეები.

მეტად მიმზიდველი და წარმტაცია სვეტლანას სახე. იგი ბავშვური გატაცებით ელოლიავება დაჭრილ ვაშალომიძეს, ტკბილი ქართული სიმღერებით უქარვებს ამხანაგებისაგან, ნაწილისაგან ჩამოცილებით გამოწვეულ დარდებს, უადვილებს ტკივილებს და სულიერ მხნეობასა და ძალას მატებს მებრძოლს. მიმზიდველია სვეტლანას ოცნება შექმნას ნამდვილი საბჭოთა ოჯახი დამყარებული მტკიცე სიყვარულსა და ურთიერთპატივისცემაზე. მას ხიბლავს ვაშალომიძის სპეტაკი ბუნება და ადამიანური თვისებები. აქ სრულიად ბუნებრივად ინასკვება ომში შემთხვევით შეხვედრილ ქართველ და რუს ახალგაზრდას შორის სიყვარულის იდუმალი ძაფი. მათი მიზანი ერთდება: ეს არის პირველ რიგში თავგანწირული ბრძოლა სამშობლოს მიწა-წყლიდან გერმანელი ავაზაკების განდევნისათვის, შემდეგ კი გამარჯვებული დაბრუნება საქართველოში, იმერეთში, ვაშალომიძის სახლში, მაგრამ რამდენი ასეთი სუფთა და ფაქიზი ოცნებები დაამსხვრია ომმა! რა სანანებელია სვეტლანას სიკვდილი ხომ არ შეიძლებოდა ცოცხლად დაეტოვებინა იგი ავტორს და სხვა ვითარებაში ეჩვენებინა? რამდენად მოტივირებულია სვეტლანას დარჩენა სახლში და მისი დაღუპვა? ეს კითხვები ბუნებრივად დაებადება ყოველ შეგნებულ მკითხველს. მაგრამ აქ საქმე მწერალზე როდია დამოკიდებული. იგი ვერ შეცვლის სი-

ნამდვილის კანონზომიერებას, სინამდვილეში კი სვეტლანა სწორედ ისე უნდა მოქცეულიყო ვაშალომიძესთან დაშორების მომენტში, როგორც ამას კ. ლორთქიფანიძე გვიჩვენებს. რატომ? იმიტომ, რომ მისთვის როგორც ლენინურ კომკავშირში აღზრდილ საბჭოთა ეპოქის ქალიშვილისათვის, ბუნებრივია, სრულიად შეუთავსებელია თუნდაც წამითაც კი წარმოდგენა იმაზე, რომ იგი თავისი ხალხის, სამშობლოს, თავისი მრწამსის მოღალატეა. პირიქით! სვეტლანა ვერშინინა მთელი არსებით გამსჭვალულია უსაზღვრო სიყვარულისა და ერთგულების გრძნობით სამშობლოსადმი. ამ სიყვარულმა უკარნახა მას შეეფარებია თავის ბინაში მტრის ზურგში მოქცეული დაჭრილი ქართველი მეომარი, გაეწია სიცოცხლის რისკი ამ გაბედული პატრიოტული საქმისათვის. მაგრამ მისდა უნებურად მოხდა ისე, რომ მოხუცმა თევდორემ მას შემდეგ, რაც სვეტლანამ იხსნა ის გერმანელის როზგებისაგან, მადლობის ნაცვლად უკმაყოფილო, უმადური თვალებით დაუწყო ყურება მას, სოფელმაც აითვალისწუნა. სვეტლანას გულუბრყვილობით წარმოშობილმა გაუგებრობამ გამწვავა შინაგანი წინააღმდეგობანი მოვალეობის შეგნებასა და ჩადენილ მოქმედებას შორის. ამ წინააღმდეგობათა განვითარების კანონზომიერებას არ შეიძლებოდა არ მიეყვანა სვეტლანა საკუთარი შეცდომის ღრმად შეგნებამდე. და ეს ასეც მოხდა. კვანძს ისევ ვაშალომიძე ხსნის. მოვუსმინოთ სვეტლანასა და ვაშალომიძეს დიალოგს:

„— სვეტლანა, რამდენი ხანია, რაც ტრაქტორზე მუშაობ?

— რამდენი იქნება? შარშან ოქტომბერში დავიწყე და თებერვალში ესენიც შემოვიდნენ.

— ისა? მოხუცი? დიდი ხნის ტრაქტორისტია?

— ტრაქტორზე დაბერდა. პირველი მანქანა მაგან შემოიყვანა ჩვენს სოფელში. მაშინ დაბადებულიც არ ვიყავი.

— მაშ ნუ გეწყინება, სვეტლანა, რომ იმ მოხუცმა (ლაპარაკია თევდორეზე, — ა. თ.) სალამი აღარ მოგცა.

— რადა? — შეჰყვირა უსაზღვროდ გაოცებულმა ქალმა: — შევიცოდე, დავეხმარე და იმიტომ?

— ვის დაეხმარე, სვეტლანა! მოხუცს? არა, ჩემო კარგო, მოხუცს არ უნდოდა იმ ტრაქტორის ამუშავება! გესმის!

— რას ამბობ?? — წამოიძახა ქალმა და თავში ხელი შემოირტყა: — მაშ მე მტრის საქმე გამიკეთებია! მაშ, ქალებმაც იმიტომ ჩამიარეს ასე უბრად!“ („მწვანე ღილი“, გვ. 96).

დიახ, სვეტლანას ფაქტიურად მართლაც სოფლელების საწინააღმდეგო საქმე გამოუვიდა. თევდორე განზრახ აჭიანურებდა ტრაქტორის ამუშავებას, რათა ამით ჩაეშალა სოფლიდან გერმანელთათვის პურის გაზიდვის გეგმა. სოფლელებიც და თვით თევდორეც მზად იყვნენ აეტანათ ამისათვის დამზადების კომისრის როზგები და საშინელი ტანჯვა-წამება: სვეტლანას კი, როცა ის წააწყდა მოხუც თევდორეს გაროზგვის ფაქტს, სულ სხვა აზრმა გაუელვა. მან იფიქრა: ალბათ, მოხუცმა ტრაქტორისტმა გულმავიწყობით, თუ რაღაც სხვა მიზეზით, ვერ შესძლო აემუშავებინა ტრაქტორი, მტერი კი ანგარიშს არ უწევს თევდორეს მოხუცებულობას და უდანაშაულოდ სცემსო. მისი პირველი გადაწყვეტილება იყო: მიშველებოდა მოხუცს, ეხსნა ის გერმანელის მტანჯველ როზგებისაგან. და, აი, ხსნის ერთადერთ გზად მან მიიჩნია ტრაქტორის ამუშავება, — მაგრამ ეს უკვე გერმანელთა მიმართ სოფლელების საბოტაჟის შინაგან გაცემას ნიშნავდა, რაც ფიქრადაც არ ჰქონია სვეტლანას. გულუბრყვილო და მიამიტმა ხასიათმა სვეტლანა უნებლიედ მიიყვანა სერიოზულ შეცდომამდე (ტრაქტორის ამუშავება), ხოლო ამ შეცდომის შედეგს (სოფლელების თვალში მოღალატედ დასახვას) თავისი ბუნებით არ შეიძლებოდა შერიგებოდა იგი. განა ცოტაა ცხოვრებაში ისეთი მაგალითები, როცა სწორედ ის გამოგვდის, რაც ფიქრად არ გვქონია გავლებული. სვეტლანა დანაშაულს ჩაიდენდა, რომ არ ეგრძნო თავისი შეცდომა, არ გამოესყიდა ის ვმირული და სახელოვანი საქმით. სწორედ ასე გვიხატავს მას მწერალიც. იგი უარს ამბობს ლადო ვაშალომიძესთან ერთად ფრონტზე წასვლაზე: „ასე შერცხვენილი, თავმოჭრილი სოფლიდან როგორ წამოვიდე?“ ეუბნება ის თავის მეგობარს, რჩება მტკიცე გადაწყვეტილებით თავისსავე სოფელში, ცეცხლს უკიდებს პურის გალეწილ კალოებს, და, გმირული საქმის ჩადენით აღფრთოვანებული, ცდილობს თავი გააღწიოს მტრის რკალს, მაგრამ... ტყვედ შეპყრობილი სვეტლანა გერმანელებმა სოფლის შუაგულში ხეზე ჩამოახრჩვეს. ასე დასრულდა სვეტლანას სპეტაკი და ნათელი სიცოცხლე.

თავის ნაწილს შეერთებული ვაშალომიძე, უტაშის ხელმეორედ განთავისუფლებისას, სვეტლანას დედისაგან გებულობს მისთვის ახლობელი ადამიანის, გმირული დაღუპვის ამბავს. ამის შემდეგ რისხვით ივსება მისი გული, უფრო ძვირფასი ხდება სვეტლანას ხელით სამხედრო ხალათის მარცხენა გულჯიბეზე დაკერებული ღილი, უფრო შეუდრეკელი, უშიშარი, თავგანწირული ხასიათი ეძლევა მის ბრძოლას გერმანელ ფაშისტ ავაზაკების წინააღმდეგ.

ნაწარმოებში თემისა და იდეის გამოხატვის ყველაზე ძლიერ, ამაღელვებელ ადგილს წარმოადგენს მესამე ნაწილი, სადაც დიდი მხატვრული დამაჯერებლობითა და მგრძნობიარობით არის აღწერილი უსახელო მაღლობზე ვაშალომიძის გმირული ბრძოლის, მისი გმირული სიკვდილის დაუვიწყარი, შთამგონებელი სურათები. სისხლისაგან დაცლილი ვაშალომიძეს ფიქრები სიცოცხლის უკანასკნელ წუთებშიც ხალხთა დიდი ბელადის ამხანაგ სტალინის გარშემო ტრიალებს. „დაჭრილის თვალწინ უზარმაზარი რუქა გაიშალა, — ვკითხულობთ მოთხრობაში, — მისი ნაპირი ცისკიდურს სწვდებოდა. რუქაზე სტალინი დახრილიყო, ხელში წითელი ფანქარი ეჭირა და გენერალ ლესელიძეს დინჯად ეუბნებოდა:

— ეს მდინარეც გადავლახეთ. ხვალ ამ ქალაქს დავიბრუნებთ, — და იმ ადგილს წითელი ხაზი შემოავლო სტალინმა. მერე ხელმარცხნივ გახედა რუქას და წარბი აზიდა.

ლადომაც იმ მხარეს გახედა. გაოცებისაგან ლამის თვალები გადმოცვივდა. რუქაზე მისი უსახელო მაღლობი გამოჩნდა.. ის გულდამწვარი მუხა და ნახანძრალი ლელიანი.

„საიდან სადამდე ხედავს თურმე ის დალოცვილი. ეს ჩემი პატარა გორაკიც რუქაზე ჰქონია!“ — მღელვარებით გაიფიქრა ლადომ და სტალინს მიაჩერდა“. („მწვანე ღილი“, გვ. 117).

ვაშალომიძის ამ სიტყვებში გამოხატულია საბჭოთა ხალხის ფიქრი და გრძნობა, ნაჩვენებია ის ურღვევი კავშირი და მთლიანობა, რაც არსებობს ამხანაგ სტალინის გენიალურ წინასწარდასახულობასა და ხალხის ნებას შორის და რაც აღაფრთოვანებს ყოველ საბჭოთა ადამიანს კომუნიზმის მშენებლობისათვის თავდადებული ბრძოლის იდეით.

კონსტანტინე ლორთქიფანიძეს მოთხრობაში საბჭოთა პატრიოტიზმისა და ხალხთა ~~სტალინური~~ მეგობრობის ცხოველმყოფელი იდეა ხორცშესხმულია ნაწარმოების კონკრეტული, ტიპიური გმირების ტიპიურ ხასიათებში, რაც თავის ჩამოყალიბებულ ფორმას მტკიცედ შეკრულ კომპოზიციასა და კარგად განვითარებულ სუჟეტში ღებულობს. ეს უეჭველად ხელს უწყობს ნაწარმოების წარმატებას და ანიჭებს მას მკითხველზე დიდი ემოციური და იდეური ზემოქმედების ძალას.

ამასთან დაკავშირებით საჭიროდ მიგვაჩნია გავაკეთოთ ზოგიერთი შენიშვნა. მოთხრობის თითოეულ ნაწილს წამძღვარებული აქვს ეპიგრაფი, რომელშიც გარკვეული აზრია ჩაქსოვილი. მაგალითად, მეორე ნაწილის ეპიგრაფი „შენს სიკვდილშია ჩემი ვაიც და ნეტარებაც“ (ილია ჭავჭავაძე) — შესანიშნავად გვიხსნის წიგნის მთელ ამ ნაწილში გამოხატულ იდეას: ლადო ვაშალომიძის სულიერ განცდებს საყვარელი არსების — სვეტლანას დაღუპვის გამო და სიყვარულის შთამაგონებელ ძალას გმირის სულიერი ამაღლებისათვის. მაგრამ ასე არ ითქმის ყველა ეპიგრაფზე. მოთხრობის მესამე ნაწილში („უსახელო მაღლობზე“) ავტორი მართლაც ამაღელვებელ სურათებს გვიხატავს ლადო ვაშალომიძის მეტად მძიმე ტრაგიკული მდგომარეობის ეპიზოდებიდან. გმირულად კვდება იგი მტერთან უთანასწორო ბრძოლაში. ამ გმირულ სიკვდილში, რა თქმა უნდა, იგრძნობა ერთგვარი სილამაზე, ეს არის მორალური რწმენა, რომ თავს სწირავ დიად და უწმინდეს საქმეს — სამშობლოს დაცვის, კომუნიზმის საქმის ინტერესებს. მაგრამ არ შეიძლება ცნება „სილამაზისა“ ამ შემთხვევაში ვაქციოთ, როგორც ზოგადი დამახასიათებელი ექვივალენტი საერთოდ სიკვდილიანობის დადებითობის ნათელსაყოფად. ეპიგრაფში „განსაცდელში ჩავარდნილი ვაჟკაცი გინახავს? მაშ რა გინახავს უფრო ლ ა მ ა ზ ი ქვეყანაზე?“ (ხაზგასმა ჩვენია — ა. თ.) — სიტყვა „ლამაზი“ ვერ გამოსახავს იმ შინაარსს, რომელსაც ავტორი ალბათ გულისხმობდა მისი დაწერის მომენტში. სიტყვა „ლამაზი“ — აქ ჩვენ გვესმის როგორც სილამაზის ესტეტიკური გამოხატულება და თუ ამ გაგებით შევხედავთ განსაცდელში ჩავარდნილი ვაჟკაცის მდგომარეობას, ვფიქრობთ, არავითარ ესტეტიკურ სიამოვნებას მასში ვერ ვიპოვით. განა შეიძლება წარმოვიდგინოთ, რომ დაჭრილი ვაჟკაცის განსაცდელი, რომელიც ბოლოს სიკვდილით მთავრდება, ყველაზე უფრო ულამაზესი იყოს ქვეყანაზე?

მოთხრობა, რამდენადაც ვიცით, ძირითადად აღებულია № შენაერთის საბრძოლო ეპიზოდების მდიდარ ფაქტიურ მასალებზე, რომელიც ამ შენაერთმა დააგროვა 1943 წლის გაზაფხულიდან ტამანისა და ყირიმის ნახევარკუნძულებზე გაშლილი შეტევითი ოპერაციების პროცესში. პირველი ნაწილის მეოთხე თავში ერთგან გვხვდება ასეთი ტერიტორიული ადგილის დასახელება „ჩეგემის ხეობა“ (სადაც თურმე ერთხელ ვაშალომიძემ წვერი დაიყენა). ჩეგემის ხეობა მდებარეობს ბალყარეთის ჩრდილოდასავლეთ ნაწილში (ზემო ჩეგემი, ქვემო ჩეგემი, შუა ჩეგემი), მაშ, საიდან გაჩნდა ყუბანის ყორღანებში „ჩეგემის ხეობა“? აქ ტერიტორიულ აღრევასთან ხომ არა გვაქვს საქმე?

„მწვანე ღილი“ — ღრმა შინაარსიანი და ამაღელვებელი წიგნია. იგი დაწერილია კ. ლორთქიფანიძისათვის დამახასიათებელი ნათელი, ხატოვანი ენით. წიგნი გამოცემულია ლამაზად და ფაქიზი გემოვნებით.

„მწვანე ღილი“ უეჭველად, საყურადღებო მოვლენაა თანამედროვე ქართულ საბჭოთა ლიტერატურაში.

აკაკი თოფურია.

დავით სულიაშვილი — მოთხრობები. გამოცემლობა „საბჭოთა მწერალი“

★

დავით სულიაშვილმა თავისი შემოქმედებითი სახე უმთავრესად საბჭოთა ეპოქაში გამოავლინა. მწერალი თავისი ცხოვრებითა და შემოქმედებით თავიდანვე დაკავშირებული იყო მუშათა რევოლუციურ მოძრაობასთან. ეს დაკავშირება კიდევ უფრო მტკიცე და ურყევი გახდა საქართველოში საბჭოთა ხელისუფლების დამყარების შემდეგ.

დავით სულიაშვილის შემოქმედება მდიდარია არა მარტო თავისი ეპოქის ცხოვრების სინამდვილის უტყუარი სურათებითა და ამ ეპოქის მოწინავე ადამიანთა სახეებით, არამედ საქართველოს ბუნების და კერძოდ ქართლის პეიზაჟის ცხოველი და ფერადოვანი სურათებითაც.

კრებული სხვადასხვა თემაზე და სხვადასხვა დროს დაწერილ 12 მოთხრობას შეიცავს. მოთხრობათა დალაგებაში არ არის დაცული თანმიმდევრული წესი. ადრინდელ პერიოდში დაწერილი მოთხრობა ბოლოშია მოქცეული და ერთსა და იმავე თემაზე დაწერილი ნაწარმოებები სხვადასხვა ადგილას არის მოთავსებული.

პირველი ოთხი ნაწარმოები „დედა“, „მამა“, „მოხუცი“ და „ორი ძმა“ სამამულო ომის პერიოდის ამსახველი ნაწარმოებია. მათში ესკიზურად არის მოცემული დიდი ამბის მხოლოდ ერთი მომენტი. ამიტომ ისინი მკითხველზე დასრულებული ნაწარმოების შთაბეჭდილებას ვერ ახდენენ. პრიმიტიულია მეტადრე ნაწარმოებთა დაბოლოება.

მაგალითისათვის ავიღოთ პირველი ნაწარმოები „დედა“. ფრონტზე მყოფი შვილისაგან წერილის მიღებით გახარებული დედა თავისი კივილით მთელ სოფელს შეჰყრის და ამბავი მხოლოდ იმით მთავრდება, რომ „სამზარეულოში მალე დამწვარი მწადის სუნი დატრიალდა, ორიოდე ქათამი გაპუტეს, დერგიდან ყველი ამოიღეს, ბოსტნიდან პრასი და ხახვი მოიტანეს, კოლექტივიდან ღვინო ისესხეს, მისი შვილის საღღეგრძელო დალიეს და მრავალჟამიერი შემოსძახეს“.

„მამა“ ასეთივე შინაარსის ნაწარმოებია. გახარებული მამა, რომელსაც ომიდან თავისი შვილი — ლადიკო დაუბრუნდა, ყველას შინ ეპატიჟება — ერთი ჭიქა ღვინო დამილიეთ, შვილი დამილოცეთ, მობრძანდითო.

მესამე ნაწარმოები „მოხუცი“ მცირეოდნად განსხვავებულ ფონზეა გაშლილი. მასში გადმოცემულია ერთი მომენტი იმ მოხუცი მშობლის განწყობილებისა, რომელსაც შვილი ფრონტზე ჰყავს. ეს განწყობილება შექმნილია მეზობლის შვილის ომიდან დაბრუნებასთან დაკავშირებით.

მოხუცი ჩამოსულის ნაამბობიდან გაიგებს, რომ მას მისი (მოხუცის) შვილი ერთი ბრძოლის შემდეგ აღარ უნახავს. მოხუცი მწარე ფიქრს მიეცემა, არაყს მიეძალება და ჩაიძინებს. ეს არის მთელი ნაწარმოების შინაარსი.

„ორი ძმაც“ მოთხრობის ნაწყვეტის შთაბეჭდილებას სტოვებს. ომის დამთავრების შემდეგ თავის სოფელს დაუბრუნდება ორი ძმა. ერთი თვითონ ჩამოვა, მეორეს ავადმყოფს ჩამოიყვანენ. უმცროსი ძმა უფროსს არ სცილდება. ყველგან თან დაჰყვება, თუმცა ხმას არ იღებს, არაფერს ლაპარაკობს. უფროსი ძმის პირით ნაწარმოებში მოთხრობილია ფრონტის მხოლოდ ერთი საბრძოლო ეპიზოდი.

მოთხრობა „მეორე დღეს“ 1928 წელს დაწერილი ნაწარმოებია. იგი ავტორის შემოქმედების განვლილი გზის მაჩვენებელია. ნაწარმოების თემად აღებულია საბჭოთა ხელისუფლების დამყარების მეორე დღე და მენშევიკური ბატონობის აღსასრული. ამ დიდი ამბის ფონზე დახატულია ძველი საზოგადო მოღვაწის, ვექილ კოტე დიდიძის ოჯახი, მისი ერთადერთი ქალიშვილით — თინათი, რომელსაც ბოლშევიკი დიტო უყვარს. ამ კარგ სუჟეტიან მოთხრობას აკლია მხატვრული გაფორმება, ჯეროვანი ხორცშესხმა. მაგალითად, დიტოს ჩხუბი თინასთან მოტივირებული არ არის. მკითხველს არც მისი შერიგების ამბავი სჯერა. დაუჯერებელი და ბუნდოვანი ადგილი სხვაც მოიპოვება. ასეთია თუნდაც დიტოს

ბიბლიოგრაფია

★

მოთხრობები სოციალისტურ სოფელსა და ახალ ადამიანებზე

არ დავკმაყოფილდეთ მიღწეულით, ვიბრძოლოთ ახალი შრომითი საგმირო საქმეებისათვის, — საბჭოთა ადამიანის ასეთი მაღალი მორალური თვისებებით შემოდის ჩვენს ცნობიერებაში თითქმის ყველა პერსონაჟი გრიგოლ ჩიქოვანის მოთხრობიდან „ფართო გზაზე". ესენი არიან ლენინ-სტალინის პარტიის მიერ აღზრდილი ახალი საკოლმეურნეო სოფლის ჩვეულებრივი, რიგითი ადამიანები, სოციალისტური შრომის ნოვატორები, უხვი მოსავლის ოსტატები, რომელთაც ასულდგმულებთ მხოლოდ ერთი აზრი: წინსვლა, გამარჯვება, დიდება. ამ დიად მიზნისაკენ მუდმივ და დაუცხრომელ სწრაფვას სრულიად შეუცვლია თანამედროვე სოფლის მკვიდრთა შეგნება, მათ შორის ურთიერთდამოკიდებულება, მტკიცედ დაურაზმავს ისინი საერთო ამოცანის — ჩაის სარეკორდო მოსავლის მიღების, საკოლმეურნეო დოვლათის ამაღლების, ჩვენი სამშობლოს ძლიერებისათვის ბრძოლის სულისკვეთებით.

ამაში უწინარეს ყოვლისა ჩვენ ვგრძნობთ მასების კომუნისტური აღზრდის დარგში მოპოვებულ წარმატებათა მხატვრულ ილუსტრაციას. მწერალი ყოველივე ამას გვიჩვენებს არა დეკლარაციულად, კონკრეტული ფაქტებისა და ცოცხალი მაგალითების გარეშე, არამედ პრაქტიკულ, რეალურ საქმეებთან მჭიდრო კავშირში. იგი გვატარებს ჩაის ხავერდოვან პლანტაციებში, სოფელ ნაფიჭვნარისა და „იმედის" კოლმეურნეობათა მწვანედ აბიბინებულ ველებზე და იქ, გმირული შრომის პროცესში, გვაცნობს მოწინავე, სახელგანთქმულ ადამიანთა შთამაგონებელ სახეებს. ასე იხატება ჩვენს წინაშე მოთხრობის ორი მთავარი გმირის მარიამის და მაიას მდიდარი იდეური ცხოვრების განზოგადებული სურათები.

მარიამ თვალთვაძე ჩაის ბრიგადას მეთაურობს ნაფიჭვნარის კოლმეურნეობაში. იგი პირადი მაგალითის ძალით რაზმავს ბრიგადის წევრებს ჩაის მოსავლიანობის გადიდებისათვის. მას იცნობენ, როგორც ჩაის კრეფის ოსტატს და პირველ ორდენოსანს მთელს რაიონში. მძიმე და უღიმღამო იყო მისი ცხოვრება სოფლად კოლმეურნეობის ჩამოყალიბებამდე. ობლობაში აღზრდილს წილად ხვდა თვითონ ყოფილიყო სამი ობოლი შვილის აღმზრდელი. 1921 წელს საბჭოთა ხელისუფლების მტრებთან ბრძოლაში დაიღუპა მისი ქმარი. ამ დროიდან თვითონ გახდა ოჯახის მეთაურიც და მოალერსე დედაც. კოლმეურნეობამ იხსნა იგი დუხჭირი, მძიმე ცხოვრების პირობებისაგან, საშუალება მისცა სამშობლოსათვის აღეზარდა სამი სახელოვანი შვილი, რომელთაგანაც ერთი წყალქვეშა ნავის კაპიტანი გახდა, მეორე — ინჟინერი, ხოლო მესამე — ლენინგრადის სამხედრო-სამედიცინო აკადემიის მსმენელი. მარიამი პარტიისა და მთავრობის მზრუნველობას შვილების აღზრდისათვის უპასუხებს გმირული და დაუღალავი შრომით. იგი ენერგიას არ ზოგავს კოლმეურნეობის წინაშე დასახულ ამოცანათა განხორციელებისათვის. მაგრამ მოხდა ისე, რომ უკანასკნელ წლებში ჩაის სარეკორდო მოსავლის მიღებით გარდამავალი წითელი დროშა დაისაკუთრა მეზობელ რაიონის კოლმეურნეობა „იმედის" ახალგაზრდა ბრიგადირმა მაია ქოჩაქიძემ, რომელიც მარიამის მეთოდებით არის გაწაფული.

რაიკომის მდივნის დავალებით მარიამი მიემგზავრება თავისი მოწაფის მუშაობის გამოცდილების გასაცნობად მეზობელ რაიონის კოლმეურნეობაში. ცნობები მაიას სარეკორდო წარმატებათა შესახებ მასში სიხარულისა და სიამაყის განცდებს იწვევს. იგი დაინტერესებულია თავისი „ალიკუდა" გოგოს მუშაობის ახალი მეთოდების შესწავლით, რომ ამით კიდევ უფრო წინ წასწიოს თავისი ბრიგადის, კოლმეურნეობის, რაიონის საქმე, ჩვენი ქვეყნის ძლიერების საქმე. ასე ხდება ორი კოლმეურნეობის ბრიგადებს შორის გაშლილი სოციალისტური შეჯიბრება საბჭოთა ადამიანების იდეურ-პოლიტიკური აღზრდის, მათში კომუნისტური ჩვევების, გრძნობების, შეხედულების ფორმირების მძლავრ ფაქტორად.

---

[1] გრიგოლ ჩიქოვანი, სიცოცხლის გზა, საბლიტგამი, 1952 წ.

მწერალს აქედან გადავყავართ „იმედის“ კოლმეურნეობაში. აქ იგი გვიჩვენებს ახალი სოციალისტური სოფლის სახეს, მის შავბნელ წარსულსა და დიდებულ აწმყოს, მის უფრო დიადსა და ნათელ მომავალს. ეს სოფელი წინათ მთის ფერდობებზე, ტყეში იყო შეფენილი. ახლა იგი ფართო არეზე, სინათლეზე გამოსულა. განიერი ქუჩები, ჩამწკრივებული ოდა-სახლები, სკოლის, კინოთეატრის, სასტუმროს შენობები, ჰიდროელსადგურის მშენებლობის კონტურები — ასეთია ამ სოფლის გარეგნული სახე. აქ, ამ ახალ სოციალისტურ სოფელში, გაითქვა სახელი მაია ქოჩაკიძემ — ახალგაზრდა ნოვატორმა, ჩაის სარეკორდო მოსავლის ოსტატმა.

გრ. ჩიქოვანის, როგორც მხატვრის, ძალა განსაკუთრებით იგრძნობა მაიას ლაღი, მჩქეფარე ბუნების, მისი მტკიცე ხასიათისა და მაღალი მორალური თვისებების დამაჯერებლად ჩვენებაში, დეტალების მახვილი თვალით დაჭერასა და თხრობის უბრალოებაში.

მაია სიცოცხლისა და სიხარულის, ახალგაზრდული გატაცებისა და შეუპოვრობის, ახალი საგმირო საქმეებისათვის მუდმივი სწრაფვის განსახიერებაა. სოფლის მეურნეობის მოწინავეთა რესპუბლიკურ თათბირზე მაია ქოჩაქიძემ სიტყვა მისცა პარტიასა და მთავრობას, რომ ჰექტარზე მოკრეფდა 7 ტონა ხარისხოვან ჩაის ფოთოლს. 7 ტონა ჰექტარზე! ეს იყო სარეკორდო ციფრი, მაგრამ სრულიად რეალური, თუ ბრიგადა ყველა შესაძლებლობას მაქსიმალურად გამოიყენებდა.

მაიას ამ გაბედულ ნაბიჯს ეჭვის თვალით უცქერის თვით მისი ქმარი აგრონომი გიორგიც კი. ამ უკანასკნელის განცვიფრება და ერთგვარი კონსერვატიზმი კიდევ უფრო ღრმავდება მაშინ, როცა მაია სრულიად უყოყმანოდ თანხმდება კოლმეურნეობის ხელმძღვანელობის წინადადებას სათავეში ჩაუდგეს ყველაზე ჩამორჩენილ ბრიგადას, რათა წინ წამოსწიოს და გაუთანაბროს იგი მოწინავეებს.

აღებული ვალდებულება საქმედ იქცა. ბრიგადამ დაისაკუთრა გარდამავალი დროშა. მაიას სახელი საქვეყნოდ გაისმის. რით მიაღწია მან ამ წარმატებას? მწერალი გვიჩვენებს, თუ როგორ სძლია მაიამ ბუნების სტიქიას, როგორ დაიმორჩილა და ჩააყენა იგი ადამიანის ბედნიერების სამსახურში. მან შექმნა წვიმის წყლის დიდი მარაგის დასაგროვებლად საგუბრები და ამით უზრუნველყო გვალვის დღეებში პლანტაციების უვნებელი მორწყვა, რამაც ერთიორად გაზარდა მოსავალი.

ამით მაიამ წინ წასწია ჩაის მოსავლის ტექნიკა, გაუსწრო დროს და შექმნა მოსავლის კიდევ უფრო გადიდების რეალური პერსპექტივები. მაგრამ მაია სრულიადაც არ არის კმაყოფილი მიღწეულით. მისთვის უცხოა თვითდამშვიდება და ქედმაღლობა, იგი კრიტიკულად ეკიდება ყოველი დღის მაჩვენებელს და მას ხვალინდელი, უფრო დიდი, მაღალი მოთხოვნების თვალსაზრისით ზომავს.

„განა ყველაფერი გავაკეთეთ ჩვენ? რომ დავფიქრდები სირცხვილი ამიტანს, რამდენი რამ გამოგვრჩენია, გაგვიშვია“, — ასე მიმართავს ის თავის ბრიგადის წევრებს, რომლებიც ახალგაზრდა ნოვატორის გარშემო ერთსულოვნად არიან დარაზმული. მაიას ოცნებაა მისი ბრიგადა მილიონერ ბრიგადად გადააქციოს. რა კეთილშობილური მისწრაფებაა! ასეთი შედეგებით ხვდება მაია მარიამს, რომლის ბრიგადაში, როგორც მერგოლური, მუშაობდა იგი წინათ, მეზობელ სოფელში გათხოვებამდე.

მარიამი აღტაცებულია მისი აღზრდილის მუშაობის თვალსაჩინო შედეგებით, მეზობელი სოფლის განახლებით, აყვავებით, წინსვლით, ზეიმით. და მთელს ამ სიხარულში თვალწინ უდგას წვიმის საგუბრები, რომლის გამოგონებით მაიამ სიახლე შეიტანა ჩაის მოსავლიანობის გადიდებისათვის ბრძოლის საქმეში. იგი ყურადღებით აკვირდებოდა ამ საგუბრებს, გაბრწყინვებული თვალებით გასცქეროდა მზრუნველობით მოვლილ პლანტაციებს და „იღიმებოდა იმ დედის ღიმილით, რომელიც უახლოვდება შვილს, ესმის მისი ხმა, ხედავს მას გონების თვალით და არ ყოფნის მოთმინება, სანამ გულში ჩაიკრავდეს“. მარიამსა და მაიას შორის შეჯიბრება ახალ შინაარს იძენს, მათი ცხოვრება მიიმართება ამაღლებული, გასხივოსნებული გზით.

მოთხრობაში ასეთივე მაღალი მორალური თვისებების მატარებლებია ჩაის მიმღები პუნქტის მწონავები პლატონ ჭილაძე და ნესტორ ფარცვანია, ჩაის ფაბრიკის მექანიკოსი ვარლამ როგავა და მერგოლური გვანცა ლომაია. თვითეული მათგანი თავის დარგში განირჩევა პატიოსანი, ბეჯითი, გულმოდგინე შრომით, სახელის, წინსვლისა და დიდებისათვის ბრძოლის სულისკვეთებით.

და ჩვენ ვხედავთ, როგორ გასულა ლენინ-სტალინის პარტიისა და საბჭოთა მთავრობის მზრუნველობით საკოლმეურნეო სოფლის მოწინავე, ახალი ადამიანები ბედნიერი ცხოვრების ფართო და დიდ გზაზე, როგორ შეცვლილა სოფლის არა მარტო გარეგნული სახე, არამედ ამ სოფლების მკვიდრთა იდეოლოგიაც, როგორ ამაღლებულა ხალხი სოციალისტური თანაცხოვრების შეგნების მაღალ დონემდე. მოთხრობის ეს მთავარი იდეური შინაარსი მწერლის მიერ ცოცხლად, მსუბუქი და ღია ფერებით არის დახატული.

წიგნში შეტანილ ნაწარმოებებიდან ასევე საინტერესოა გრ. ჩიქოვანის მიერ 1942 წელს დაწერილი მოთხრობა „მეორედ შეხვედრა“, რომლის სიუჟეტური ხაზი ბუნებრივი გაგრძელებაა შწერლის მიერ ომამდელ პერიოდში დაწერილი მოთხრობისა „მეგობრები“. ორივე ამ მოთხრობაში თითქმის ერთი და იგივე პერსონაჟები მოქმედებენ — ძაბული, ბარდღა, მუია ბაღათურია.

განსაკუთრებით კოლორიტულია და დასამახსოვრებელი უკანასკნელი სახე, რომელიც მწერალს ცოცხლად, ორიგინალურად და მეტად ფაქიზი გრძნობით ჰყავს დახატული.

მუია სოფლის ფოსტალიონია. ამ პროფესიასთან ბუნებრივ შესატყვისობაშია მისი ხასიათის ისეთი თვისებანი, როგორიცაა: მხიარულება, ხუმრობა, ენამჭევრობა, მოხერხებულობა, პატიოსნება,

მწერალი კარგად იცნობს იმ ადგილებსა და ყოფით გარემოს, რომლებშიც მისი გმირები იზრდებიან და ვითარდებიან. ორივე მოთხრობა შინაგანად ერთმანეთთან მჭიდრო და ორგანულ ურთიერთობაშია. წრფელი სიყვარულის გრძნობა აკავშირებს ერთმანეთთან ძაბულის და ბარდღას — ერთი სოფლის ორ ახალგაზრდას. ბარდღა მუიას ერთადერთი ვაჟია მამისათვის შეუმჩნეველი როდი რჩება მათი ურთიერთობის ფაქტი, იგი ჩუმი, გამოუმჟღავნებელი სიხარულით შენატრის მათ მომავალ ბედნიერებას. მაგრამ ნამდვილი სიყვარულის გვირგვინი — ახალი კომუნისტური ოჯახის შექმნა დროებით გადაიდება. ბარდღა ჯერ კიდევ სამამულო ომის დაწყებამდე გაიწვიეს არმიაში, იგი მონაწილეობდა თეთრფინელების წინააღმდეგ ბრძოლაში, სადაც მძიმე ჭრილობაც მიიღო. მწერალი გვიჩვენებს ძაბულის განცდებს, მის ერთგულებას სატრფოსადმი, იდეურ და მორალურ სისპეტაკეს. მეორე მხრით, ბარდღას გმირობისაკენ მოუწოდებს ძაბულის საყვარელი სახის მოგონება. ეს თემა უდევს საფუძვლად „მეორედ შეხვედრას“. ძაბული ახლა უკვე კოლმეურნეობის თავმჯდომარეა, ბარდღა კი ერთ-ერთი ქვეგანაყოფის მეთაური საბჭოთა არმიის რიგებში. მუია ბაღათურია ფრონტიდან მიღებული წერილების დამტარებელია სოფელში. ამაში ხედავს ის უდიდეს სიამოვნებას. ძაბულის სიყვარული ბარდღასადმი მტკიცეა და შეურყეველი. იგი სათავეში უდგას ფრონტისათვის საჩუქრების შეგროვების საყოველთაო-სახალხო კომპანიას სოფელში და ამით გამოხატავს უსაზღვრო სიყვარულს სამშობლოსადმი, რომლის დასაცავად იარაღით იბრძვის ბარდღა.

მუია ბაღათურიას კოლმეურნეობა აგზავნის იმ დელეგაციის ხელმძღვანელად, რომელსაც ევალება საჩუქრების მიტანა ფრონტზე. მუიასათვის ეს ახლა ერთადერთი საშუალებაა — შედარებით ფოსტალიონის მოვალეობასთან — მოიხადოს ქვეყნის წინაშე თავისი პატრიოტული ვალი. იგი, მიუხედავად ხანდაზმულობისა, მზად არის საფრთხეში ჩააგდოს თავისი სიცოცხლე, ოღონდ უშუალოდ დაუახლოვდეს ფრონტს, სადაც მისი შვილი ბარდღა გმირულად იბრძვის. — იქნებ უჭირს და დახმარება სჭირდება! — ფიქრობს ის. ასე ერთდება ფრონტი და ზურგი მტერზე გამარჯვების ერთიანი გადაწყვეტილებით, ასე ფრთებს ისხამს მოხუც მამაში სურვილი მოიკრიბოს უკანასკნელი ძალღონე, რათა მხნეობა და სულიერი სიმტკიცე შემატოს შვილს, შთააგონოს მას ბრძოლა ახალი საგმირო საქმეებისათვის.

...მუია ბაღათურია თავისი საჩუქრებით ფრონტისპირა ხაზზეა. იგი ხვდება იმ ნაწილში, სადაც მისი შვილის — ბარდღას ქვეგანაყოფი შედის. ეს შეხვედრა წუთიერი და ამაღელვებელია. მაგრამ მწერალი ხაზს უსვამს არა მამისა და შვილის მოულოდნელი შეხვედრის მომენტს, არამედ მუია ბაღათურიაში საბჭოთა პატრიოტიზმის ცხოველმყოფელი გრძნობის ძალუმად გამოვლენას, რაც დაკავშირებულია ერთი შეხედვით უცნაურ, მაგრამ სრულიად დასაჯერებელ, ფაქტთან. ნაწილი, რომელთანაც მუიამ საჩუქრები ჩაიტანა, იბრძვის ქ. მალინოვკის აღებისათვის. ბარდღას ქვეგანაყოფიც უტევს ქალაქს, მაგრამ მტრის საცეცხლო წერტების ჩახშობა გაძნელდა, წინსვლა შეფერხდა.

მუია 1916 წელს, პირველი იმპერიალისტური ომის პერიოდში, სწორედ ამ ქალაქში იბრძოდა. მაგრამ მის ბრძოლას მაშინ თან არ ახლდა ის ცეცხლი და მგზნებარება, რაც ახლა ფრთებივით შეესხა მას. მაშინ მუიას და მუიასთანა მილიონებს არ გააჩნდათ სამშობლო. ახლა კი, როცა მთელი საბჭოთა ხალხი მისი დიდი სამშობლოს ღირსებასა და დამოუკიდებლობას იცავს, მუია გრძნობს, რომ მალინოვკისათვის ბრძოლა — ეს არის ბრძოლა მისი ბედნიერებისათვის, მისი კოლმეურნეობის, ხეთის ლამაზი და მშვენიერი ბუნების დაცვისათვის.

მწერალმა შეძლო საბჭოთა ადამიანის საუკეთესო თვისებები, მისი კეთილშობილური განცდები სრულყოფილად და დამაჯერებლად ჩაექსოვა მუიას სახეში. ამით ის უეჭველად ამჟღავნებს მხატვრული ხედვის უნარსა და მდიდარ შესაძლებლობებს, რითაც გრ. ჩიქოვანი მკითხველთა მოწონებასა და ყურადღებას იმსახურებს.

თემატიკურად სარეცენზიო წიგნში შესული მოთხრობები მრავალფეროვანია და მათ უეჭველად აქვთ გარკვეული იდეურ-აღმზრდელობითი მნიშვნელობა. მაგრამ ყველა მოთხრობა ერთნაირი ინტერესით როდი იკითხება. საერთო და უმთავრესი ნაკლი, რაც გრ. ჩიქოვანის ამ წიგნს ახასიათებს, ის არის, რომ მწერალს თავის მოთხრობებში რაც შეიძლება მეტი რაოდენობის მოქმედი პირი გამოჰყავს, ხოლო სახის ტიპიზაციაზე, მის კონკრეტიზაციაზე კი ნაკლებად ფიქრობს. ამის შედეგად ზოგიერთი დადებითი პერსონაჟის მოქმედების მასშტაბი შეზღუდულია.

მიუხედავად ამ ნაკლოვანებისა, გრ. ჩიქოვანის მოთხრობების წიგნი „სიცოცხლის გზა" მოწმობს ავტორის იდეურ-შემოქმედებითს ზრდას. მწერალი კარგად ფლობს ქართულ სიტყვას, ამჟღავნებს თანამედროვეობის მნიშვნელოვანი თემებისადმი ინტერესს და ორგანულ სიახლოვეს ხალხის სულიერ განწყობილებებთან.

აკ. თოფურია

~~წიგნი კორეელი ხალხის განთავისუფლებელ ბრძოლებზე~~

★

პირსისხლიანი ამერიკელი იმპერიალისტების წინააღმდეგ, კორეელი ხალხის ბრძოლამ ძლიერი გამოხმაურება ჰპოვა საბჭოთა ადამიანებში, ხოლო ყოველივე ეს განსაკუთრებული სიყვარულით გამოიხატა საბჭოთა მწერლობაში. რუსმა საბჭოთა მწერლებმა მრავალი საინტერესო ნაწარმოები შექმნეს კორეელი ხალხის გმირულ ბრძოლებზე. ამ მხრივ არც ქართული საბჭოთა მწერლობა ჩამორჩება. განსაკუთრებით აღსანიშნავია ნიჭიერი ახალგაზრდა მწერლის, ივანე ურჯუმელაშვილის წიგნი „მორანბონი", რომელიც „საბლიტგამმა" გამოსცა. ავტორმა ამ ნაწარმოებით მნიშვნელოვანი წვლილი შეიტანა ქართულ საბჭოთა ლიტერატურაში, მისი თემატიკის გაფართოების თვალსაზრისით.

ი. ურჯუმელაშვილის წიგნი მკაფიოდ ასახავს კორეელი ხალხის გმირულ ბრძოლას თავისუფლებისა და დამოუკიდებლობისათვის, მძლავრად გამოხატავს საბჭოთა არმიის განმათავისუფლებელ როლს იაპონელი მილიტარისტების მიერ დაპყრობილი ხალხების მიმართ.

დამახასიათებელია, რომ ორივე ნაწარმოები „მორანბონი" და „დღეები კორეაში" თემისა და მასალის ღრმა გააზრების შედეგია. მწერალს ამ საქმეში ხელი წეუწყო იმ გარემოებამ, რომ თვითონ იყო აქტიური მონაწილე საბჭოთა არმიის მიერ იაპონელი მილიტარისტებისაგან მანჯურიისა და კორეის განთავისუფლებისა.

ი. ურჯუმელაშვილი მხატვრული დამაჯერებლობით გადმოგვცემს არმიის გადასვლას საზღვარზე, ბრძოლის დაწყებას იაპონელთა წინააღმდეგ, ჯარისკაცთა დაძაბულ განწყობილებას. კარგად არის ასახული ხასანის ტბის მიდამოებიდან საბრძოლო სვლა, ზაოზერნაიას მაღლობისათვის ბრძოლა და პირველი მძლავრი იერიშის მიტანა იაპონელთა წინააღმდეგ, რომელსაც წინ უძღოდა ფრონტის პოლიტსამმართველოს მიმართვა ჯარებისადმი: „გავანადგუროთ იმპერიალისტური იაპონია, ომის მეორე კერა! სტალინისათვის! წინ, საბოლოო გამარჯვებისაკენ!".

ნაწარმოების ერთ-ერთი თვალსაჩინო ფიგურაა სერჟანტი საკირკო, — მასში ძლიერად არის გამოსახული ის ვაუკაცური სულისკვეთება, პირდაპირობა და ნებისყოფის სიმტკიცე, რომელიც საერთოდ ტიპიური და დამახასიათებელია საბჭოთა ჯარისკაცისათვის. საკირკო იერიშზე გადასვლისას აცხადებს: „ჯერ ხუთი თვეც არ გასულა, რაც გერმანიაში იბრძოდა ჩვენი ოცეული, უნდა პირდაპირ ითქვას, რომ ცუდად როდი ვიბრძოდით იქ, ამხანაგებო! გერმანიის ფაშიზმი უკვე დავამარცხეთ და გავანადგურეთ, ახლა საჭიროა დავამარცხოთ იაპონელი სამურაები, რათა კვლავ დავბრუნდეთ ჩვენს ოჯახებში და შევუდგეთ მშვიდობიან ცხოვრებას. გაუმარჯოს სამშობლოს, გაუმარჯოს სტალინს!"

სამშობლოსათვის! სტალინისათვის! — აი ამ საბრძოლო ლოზუნგით გადაეშვნენ საბჭოთა ჯარისკაცები მტრის ბანაკში. ისინი მაღლობებს მაღლობზე იპყრობდნენ, იაპონელებისაგან ცეცხლწაკიდებულ კორეის სოფლებში შეიჭრნენ. ავტორი მძაფრად გადმოგვცემს ამ ამბებს. მაიორ მატიაშის ბრძანებით, ჯარისკაცები ცეცხლის ჩაქრობას შეუდგნენ. ერთ სახლში საშინელი ყვირილი მოისმა. „რამდენიმე მებრძოლმა ცეცხლწაკიდებული კორეელი მამაკაცი და პატარა ბავშვი გამოიყვანა, კაცს მხოლოდ ტანისამოსზე ეკიდა ცეცხლი, ბავშვს კი სხეულზედაც მოსდებოდა. მამაკაცს სწრაფად შემოვახიეთ ტანსაცმელი. ზიმანოვმა ბავშვი საწვიმარში გაახვია და მდინარისაკენ გააქანა. წელამდე წყალში რომ შევიდა, ბავშვი ჩაუშვა და ერთ ხანს ასე ეჭირა. კორეელი მამაკაცი მალე გრძნობაზე მოვიდა, წამოხტა და ყვირილით ზიმანოვისაკენ გაექანა, რომელიც ამ დროს უკვე მდინარის ნაპირზე იდგა და ხელში ნახშირადქცეული ბავშვი ეჭირა. კორე-

---

ი. ურჯუმელაშვილი. „მორანბონი", საბლიტგამი, 1952 წ.

ბოლო (5) გვერდი

"02. 11. 93 ეკონომიკა